



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010196107756818

29 / აგვისტო / 2018 წ.
843/ს

გადმოცემული მერქნული რესურსის (ნაბლის ჯიშის II; III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) – 13.680 მ3) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N261) (6) განმეორებით გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 12-მუხლის 5-ე პუნქტის და 45-ე, 46-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 08 თებერვლის N5000748918 დასკვნის, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2017 წლის 01 დეკემბრის N13/56264 სამსახურებრივი ბარათისა და ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 03 იანვრის N3/07, 21 თებერვლის N3618/07, 20 მარტის N5613/07, 21 მაისის N8607/07 და 21 ივნისის N12034/07 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N261 სამეგრელო-ზემო სვანეთში, ქ.წალენჯიხის სოფ. მიქავაში დასაწყობებული, კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოსთვის გადმოცემული მერქნული რესურსის 13.68 მ³ ფოთლოვანი სახეობის (წაბლის) II; III და IV ხარისხის მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

